მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №51
2022 წლის 23 ივნისი
ქ. მარტვილი

,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების–გარე განათების ბოძების, შპს ,,მაგთიკომი''-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, სარგებლობის უფლებით პირობით გაცემაზე

თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ" პუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის თანახმად:

1. მიეცეს თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით 3 (სამი) წლის ვადით გადასცეს შპს ,,მაგთიკომს" მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ბოძები (ბოძების რაოდენობა განისაზღვროს ფაქტიური მონაცემების მიხედვით).
2. შპს ,,მაგთიკომს" გარე განათების ბოძების სარგებლობისათვის საიჯარო ქირად განესაზღვროს თითოეულ ბოძზე ყოველწლიურად 2.5 ლარი.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა